საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030197391543720

№ 01-514/ო **24 / ოქტომბერი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებისა და მათთან კონტაქტირებული პირების შესახებ ინფორმაციული ნაკადების მართვის სქემის დამტკიცების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ,,ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტების შესახებ ინფორმაციული ნაკადების მართვის სქემა“ N1 დანართის შესაბამისად.

ბ),,COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებთან კონტაქტირებული იზოლაციაში (თვითიზოლაცია, კარანტინი) მყოფი პირების შესახებ ინფორმაციული ნაკადების მართვის სქემა“ N2 დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე